ტვინების ბრძოლა
რეგიონული პირველობა | გაზაფხული 2024
U5 (III, IV, V კლასები)
02.06.2024

1. 5-ქულიანი შეკითხვა
იქსით და **იგრეკით** შეცვლილია **თითო-თითო სიტყვა**.
წარსულში, ევროპის ერთ ეკლესიაში **თამაშები აკრძალული იყო**. **გამჭრიახმა** მონაზონმა **იქსის იგრეკი შენიღბა** და **ორ ერთმანეთზე მიდებულ წიგნს** მიამსგავსა. ერთი პერსონაჟის აზრით, **იქსში მეფე** განასახიერებს არა ხელმწიფეს, არამედ **მომავალ თაობას**, რომლის **დაცვაც ყველას ვალდებულებაა**. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: ჭადრაკი
კომენტარი: იგრეკით შეცვლილი იყო სიტყვა "დაფა". მონაზონმა ჭადრაკის დასაკეცი დაფა ორ ერთმანეთზე მიდგმულ წიგნს მიამსგავსა და ბიბლიოთეკაში შენიღბა. პერსონაჟი ვარაუდობს, რომ ჭადრაკის მეფე სინამდვილეში ახალ თაობას განასახიერებს, რადგან მისი დაცვა ყველა დანარჩენი ფიგურის ვალია. პირველ ივნისს აღინიშნა ბავშვთა დაცვის დღე, რომელსაც ერთი დღის დაგვიანებით გილოცავთ!

2. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთი კომპანიის მიერ შექმნილი **მზის ბატარეები** იმდენად **ეფექტურია**, რომ ენერგიას იღებს **არამხოლოდ მზისგან**, **არამედ იქსისგანაც**. იქსზე სხვადასხვა დროს განათავსეს **რამდენიმე ქვეყნის დროშა**, მათ შორის, **ამერიკის შეერთებული შტატებისაც**. დაასახელეთ იქსი ერთი სიტყვით.

პასუხი: მთვარე
კომენტარი: მთვარე მზის სინათლეს ირეკლავს. ეს მზის ბატარეები იმდენად ეფექტურია, რომ არამხოლოდ მზის პირდაპირი სხივებით, არამედ მთვარისგან არეკლილი შუქითაც კი იღებს ენერგიას. მთვარეზე დროშა რამდენიმე ქვეყანას აქვს დატოვებული, მათ შორის კი პირველი იყო ამერიკის შეერთებული შტატები.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი კომპანია აწარმოებს **ყვითელი** ფერის **გამაფრთხილებელ ნიშნებს**, რომლებიც გვაფრთხილებს, რომ **იატაკი სველია** და შეიძლება, **ფეხი დაგვიცდეს**. **სიმბოლურია**, რომ ეს გამაფრთხილებელი ნიშნები **იქსის ფორმისაა**. დაასახელეთ იქსი **აბსოლუტურად ზუსტად**, **ორი სიტყვის** გამოყენებით.

პასუხი: ბანანის ქერქი
კომენტარი: ბანანის ქერქზე ფეხის ასრიალება ანიმაციებსა და კომედიურ ფილმებში პოპულარული სცენაა. სიმბოლურია, რომ ყვითელი გამაფრთხილებელი ნიშანი, რომელიც სველ იატაკზე გვაფრთხილებს, ბანანის ქერქის ფორმისაა.

4. 5-ქულიანი შეკითხვა
მულტფილმში "**ზოოტოპია**" გვხვდება **ტელეწამყვანი** პერსონაჟები, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყანაში **სხვადასხვა ცხოველი განასახიერებს**. მაგალითად, **კანადაში** ტელეწამყვანი **ირემია**, **ავსტრალიაში - კოალა**, ხოლო **ჩინეთში - იქსი**. იქსი სხვა ანიმაციის **კუნგ-ფუს** მოყვარული პერსონაჟიცაა. დაასახელეთ **ცხოველი**, რომელიც შევცვალეთ იქსით.

პასუხი: პანდა
კომენტარი: თითოეულ ქვეყანაში ტელეწამყვანს ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელი ცხოველი განასახიერებს. ჩინეთის მკვიდრი ცნობილი ცხოველი კი პანდაა. შეკითხვის მეორე ნაწილში საუბარი იყო კუნგ-ფუ პანდას მთავარ პერსონაჟზე.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
სურათზე თქვენ ხედავთ **იქსების მუზეუმს**. **აზიურ ზღაპრებში** ხშირად გვხვდება იქსი, **რომლითაც** პერსონაჟები **გადაადგილდებიან**. დაასახელეთ იქსი ერთი **ექვსასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ხალიჩა
კომენტარი: მასალაზე გამოსახული ორიგინალური დიზაინის მქონე შენობა ხალიჩების მუზეუმია, რომელსაც დახვეული ხალიჩის ფორმა აქვს. აზიურ ზღაპრებში ხშირად ვხვდებით მფრინავ ხალიჩებს.

6. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი ვერსიით, **იქსზე** მოთავსებული **კვერცხის გული მზის სიმბოლოს** წარმოადგენს. სხვა მოსაზრებით, იქსი ადამიანის **თვალის** ფორმის **კულინარიული** ვერსიაა. დაასახელეთ იქსი ორი სიტყვით, რომელთაგან ერთი **საქართველოს მხარეს** უკავშირდება.

პასუხი: აჭარული ხაჭაპური
კომენტარი: თუ ზედხედით დავაკვირდებით, ქართული ტრადიციული კერძის ეს ნაირსახეობა მართლაც მოგვაგონებს თვალის ფორმას. თუმცა, ერთი ვერსიით, კვერცხი მის შუაგულში მზის სიმბოლოა.

7. 5-ქულიანი შეკითხვა
ყურადღება, შეკითხვაში **გამოტოვებულია ასოები**.
ძველ რომში მიიჩნევდნენ, რომ **წვეთები**, რომელიც **დილაობით** ჩნდება ხოლმე **მცენარეებზე**, **ქალღმერთ ავროს ცრემლებია**. **თქვენთვის ცნობილ წიგნში** მთავარ პერსონაჟს **ავრო** ჰქვია. **რა** გამოვტოვეთ შეკითხვის ტექსტში **ორჯერ**?

პასუხი: რა

ჩათვლა: ავრორა
კომენტარი: ძველ რომში ავრორა განთიადის ქალღმერთი იყო, შესაბამისად, რომაელებს მიაჩნდათ, რომ დილაობით მცენარეებზე გაჩენილი ნამი ავრორას ცრემლებია. წიგნში "ავრორა Z კორპუსიდან" მთავარ პერსონაჟს ავრორა ჰქვია. შეკითხვის ტექსტში ჩვენ პირდაპირი მნიშვნელობით გამოვტოვეთ "რა".

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]
პაბლო პიკასოს **მაგიურ ნახატებზე** საუბრისას, ერთი მწერალი აღნიშნავს, რომ **პიკასოს** მუშაობისას თითქოს **არა ფუნჯი**, არამედ **იქსი ეჭირა**. **ნაწარმოებების** ცნობილი **სერიის** თანახმად, იქსი თავად **ირჩევს მფლობელს** და **არა პირიქით**. დაასახელეთ იქსი ორი სიტყვით, რომლებიც **ერთსა და იმავე თანხმოვანზე** იწყება.

პასუხი: ჯადოსნური ჯოხი
კომენტარი: სიტყვა "მაგიური" მინიშნებას წარმოადგენდა. მწერალის თქმით, პიკასო იმდენად გამაოგნებელ ნახატებს ქმნიდა, რომ იფიქრებდით, თითქოს არა ფუნჯი, არამედ ჯადოსნური ჯოხი უჭირავსო. "ჰარი პოტერის" წიგნების სერიაში ჯადოსნური ჯოხების ოსტატი ოლივანდერი აღნიშნავს, რომ ჯოხი თვითონ ირჩევს ჯადოქარს და არა პირიქით.

9. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი **სოციალური რეკლამა** ხალხს **მოუწოდებს**, **რეგულარულად** ეწვიონ **ვეტერინარულ კლინიკას**. ამ რეკლამის თანახმად, **შინაურ ცხოველთან** დაკავშირებული ცნობილი **გამოთქმა არ** შეესაბამება **სიმართლეს**. დაწერეთ **ციფრი**, რომელიც ამ გამონათქვამში ფიგურირებს.

პასუხი: 9
კომენტარი: სოციალური რეკლამის ავტორებმა კატის პატრონებს შეახსენეს, რომ სინამდვილეში კატებს არ აქვთ 9 სიცოცხლე და მათ სჭირდებათ პერიოდული გამოკვლევები ვეტერინარულ კლინიკაში. კითხვის ნომერი დამატებითი მინიშნება გახლდათ.

10. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
სპორტული სტატიის თანახმად, საფეხბურთო კლუბ "ბორუსია დორტმუნდის" ფეხბურთელები გამოირჩევიან **შრომისმოყვარეობითა** და **მწვრთნელის მიმართ ერთგულებით**. გასაკვირი არ არის, რომ "ბორუსია დორტმუნდის" **სიმბოლოა** ერთი **მწერი**. **შვიდი ასოს** გამოყენებით დაასახელეთ ეს მწერი.

პასუხი: ფუტკარი

კომენტარი: მასალაზე შეამჩნევდით, რომ “ბორუსია დორტმუნდის” ფერებია შავი და ყვითელი. სიმბოლურია, რომ კლუბის მასკოტია ფუტკარი, რომელიც აგრეთვე გამოირჩევა შრომისმოყვარეობით და დედოფლისადმი ერთგულებით.

11. 6-ქულიანი შეკითხვა
1920 წელს **ესპანეთის მეფემ იქსს** უფლება მისცა, გამოეყენებინათ **ტერმინი** “**სამეფო**” და გამოესახათ **გვირგვინი** თავიანთ **ემბლემაზე**. დაასახელეთ **სპორტული კლუბი**, რომელიც შევცვალეთ იქსით.

პასუხი: მადრიდის “რეალი”
ჩათვლა: რეალი
კომენტარი: ამ შეკითხვით ჩვენ გავაგრძელეთ საფეხბურთო თემატიკა. 1920 წელს ესპანეთის მეფემ მადრიდულ კლუბს უფლება მისცა, გამოეყენებინა სიტყვა “სამეფო” თავის დასახელებაში. იმავე წლიდან კლუბის ემბლემაზე გამოსახულია გვირგვინიც. სიტყვა “რეალ” ესპანურად ნიშნავს სამეფოს. გუშინდელ ჩემპიონთა ლიგის ფინალში სწორედ “ბორუსია” და “რეალი” უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
წიგნში “**ავრორა Z კორპუსიდან**” მამა ავრორას უყვება **ძველი ბერძენი** მოღვაწის შესახებ, რომელიც **იქსზე ადრე** ცხოვრობდა. ამ ფაქტის გაგონებისას ავრორა **უეცრად დაიბნევა** და **შეკითხვას დასვამს**. იქსს ეკუთვნის სიტყვები: “**მე ვიცი**, **რომ არაფერი არ ვიცი**”. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: სოკრატე
კომენტარი: მამა ავრორას უყვება ძველი ბერძენი მოღვაწის, პერიკლეს შესახებ, და იქვე დასძენს, რომ ეს მოღვაწე სოკრატეზე ადრე ცხოვრობდა. ავრორა უეცრად დაიბნევა, რადგან სოკრატე ასევე ჰქვია მის უმცროს ძმას. ცნობილ ფილოსოფოსს, სოკრატეს, მიეწერება სიტყვები: “მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი”.

13. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთი ანიმაციის გმირი მეზობელ **ცათამბჯენში** მყოფი გოგონასთვის ხმის **მიწვდენას** ცდილობს **იქსისგან გაკეთებული თვითმფრინავით**. **ძველ ჩინეთში** იქსის ნაცვლად იყენებდნენ **კუს ბაკანს**, ხოლო **ეგვიპტეში - პაპირუსს**. დაასახელეთ იქსი ერთი **შვიდასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ქაღალდი
ჩათვლა: ფურცელი
კომენტარი: ძველ ჩინეთსა და ეგვიპტეში ქაღალდის ნაცვლად ალტერნატიულ საშუალებებზე წერდნენ. ანიმაციის გმირი ქაღალდის თვითმფრინავით ცდილობს, ხმა მიაწვდინოს ცათამბჯენში მყოფ პერსონაჟს.

14. 6-ქულიანი შეკითხვა
მეოცე საუკუნის **დასაწყისში** ერთ ევროპულ ქალაქში მდებარეობდა უზარმაზარი **საინფორმაციო არქივი**, სადაც თავმოყრილი იყო **სხვადასხვა ინფორმაციის** შემცველი **ათასობით წიგნი**, **სურათი**

და **გაზეთი**. ამ საინფორმაციო არქივს დღეს უწოდებენ **ქაღალდის იქსს**. დაასახელეთ იქსი **ერთი** სიტყვით, თუ გეტყვით, რომ ის ცნობილი **თანამედროვე სისტემის** სახელწოდებაა.

პასუხი: გუგლი
კომენტარი: ინტერნეტისა და ციფრული საძიებო სისტემების განვითარებამდე, თქვენს შეკითხვებზე ყველაზე სრულყოფილი პასუხების პოვნა ამგვარ საინფორმაციო არქივებში დაცული წიგნების ფურცლებზე შეგეძლოთ. სწორედ ამიტომ, ამ უზარმაზარ საინფორმაციო არქივს დღეს უწოდებენ ქაღალდის გუგლს.

15. 7-ქულიანი შეკითხვა
სიტყვებით "**ასეთი იქსი**" შეცვლილია **ორი** სიტყვა.
ერთი სიმღერის ლირიკულ გმირს **სანაპიროზე ყოფნისას** ასეთი იქსის **ხმაური შეაწუხებს** და აღნიშნავს, რომ ასეთი იქსი სულაც **არ არის** "**ასეთი**". ასეთი იქსი **დედამიწის ზედაპირის** დაახლოებით **ერთ მესამედს** იკავებს. დაასახელეთ ასეთი იქსი.

პასუხი: წყნარი ოკეანე
კომენტარი: სანაპიროზე მყოფ პერსონაჟს წყნარი ოკეანის ხმაური შეაწუხებს და იტყვის, რომ ეს ოკეანე სულაც არ არის წყნარი. წყნარი ოკეანე უდიდესი ოკეანეა და დედამიწის ზედაპირის 30%-ზე მეტს იკავებს.